caritas
GEORGIA

ამხრისეს

სახელმძღვანელო

მისასალმებელი წერილი

ძვირფასო მოხალისევ!

გმადლობთ შენი სურვილისათვის იმუშაო საქართველოს კარიტასში. ეს არის ის ადგილი, სადაც ნამდვილად შეგიძლია შეცვალო სხვისი ცხოვრება. საქართველოს კარიტასი მთელი ქვეყნის მაშტაბით ეხმარება ადამიანებს და შენც გეძლევა საშუალება ჩაერთო სიყვარულის დიდ საქმეში. გახდე მოხალისე, ნიშნავს გესმოდეს, რომ ზოგჯერ გასცე უფრო სასიამოვნოა, ვიდრე მიიღო.

გახდე მოხალისე საქართველოს კარიტასში, ეს იმას ნიშნავს, რომ შენი სამუშაო არ იქნება ყოვლთვის ადვილი. მაგრამ შედეგი ამართლებს შრომას. მოხალისეობა ნიშნავს არა მხოლოდ აძლევდე პურის ნატეხს უსახლკაროს, არამედ უღიმოდე მას და ინტერესით ესაუბრებოდე მისი ცხოვრების შესახებ.

თითოეული მოხალისე მეტად მნიშვნელოვანია კარიტასისთვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ღმერთი მოგცემს ძალას იპოვო საკუთარი თავი საქველმოქმედო საქმიანობაში და ამით გაჭირვებულებს ტვირთი შეუმსუბუქო.

caritas
GEORGIA

საქართველოს კარიტასის ხედვა

სახარებისეული მცნებებით შთაგონებული, ეკლესიის სოციალური სწავლებით დამოძღვრილი, უპოვართა გამოცდილებებითა და იმედებით გამდიდრებული „საქართველოს კარიტასი“ იღწვის ქართულ საზოგადოებაში „სიყვარულის ცივილიზაციის“ დასამკვიდრებლად, სადაც:

- დაცულია ყოველი ადამიანის ღირსება და ძირითადი უფლებები;
- უზრუნველყოფილია მშვიდობა, სამართლიანობა, გულმოწყალება და სოლიდარობა;
- საერთო-საზოგადოებრივი ინტერესები პირადულზე მაღლა დგას;
- მოსახლეობის გაჭირვებული ფენების პოტენციალი გამოყენებულია საზოგადოების გასაუმჯობესებლად;
- გარემოს დაცვა საყოველთაო საზრუნავია.

საქართველოს კარიტასის მისია

ჩვენი მისიაა ვემსახუროთ გაჭირვებულებს საქართველოში და ხელი შევუწყოთ ქველმოქმედებას და სამართლიანობას.

ამ მისიის შესასრულებლად „საქართველოს კარიტასი“:

- იზიარებს „საერთაშორისო კარიტასისა“ და „ევროპის კარიტასის“ ძირითად ფასეულობებსა და პრინციპებს;
- ხელს უწყოფს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას სიღარიბისა და უსამართლობის წინააღმდეგ, მათი გამომწვევი მიზეზების გაცნობიერებას;
- სიღარიბესა და სოციალურ უსამართლობასთან ბრძოლის მიზნით თანამშრომლობს ეკლესიებთან, რელიგიურ და საერო ორგანიზაციებთან საქველმოქმედო, განვითარებისა თუ სოციალურ სფეროებში;
- გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სახის ქმედებებს, მოსახლეობის გაჭირვებული ფენების საზოგადოებრივ რეფორმებში ჩართვის მიზნით;
- ცდილობს საზოგადოებას უჩვენოს ადამიანთა, კულტურათა და რელიგიათა შორის ურთიერთობის მაგალითი;
- ინსტიტუციონალური განვითარების მიზნით, თავის ორგანიზაციულ პროცესებში რთავს სემინარებს, ტრენინგებს და ორგანიზაციული განვითარებისაკენ მიმართულ სხვა ღონისძიებებს.

ორგანიზაციული სტრუქტურა



რა არის მოხალისეობა?

მოხალისეობა არის უსასყიდლო, შეგნებული და არაანაზღაურებადი საქმიანობა სხვების სასარგებლოდ, რომელიც გადის მეგობრული და ნათესაობრივი ურთიერთობების გარეთ.

"... მოხალისეთა სამუშაო არის თავგანწირული სიყვარულის გაზრდის გზა, რომელიც სიცოცხლეს ყველაზე ღრმა მნიშვნელობას ანიჭებს".

პაპი ბენედიქტე XVI

რა აღძრავს ადამიანებში მოხალისეობის სურვილს?

იდეოლოგიური, ეთიკური და მორალური მიზეზები – მოხალისეებს სურთ:

- იმუშაონ პოზიტიური სოციალური ცვლილებებისათვის;
- გაიზიარონ თავიანთი უნარები, შესაძლებლობები და ცოდნა, რათა ხელი შეუწყონ სოციალურ მდგომარეობას;
- რამე დაუბრუნოს საზოგადოებას, და არა მხოლოდ მიიღოს.

პირადი მიზეზები – მოხალისეები მუშაობენ, რათა:

- მიიღონ სიამოვნება და დაკმაყოფილება სხვებისათვის დახმარებისაგან;
- ისწავლონ და შეიძინონ მუშაობის გამოცდილება და ახალი უნარები;
- დაამატონ რაღაცა ახალი საკუთარი CV–ში;
- ჰქონდეთ შესაძლებლობა ურთიერთობა დაამყარონ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან;
- ჰქონდეთ ჩვეულებრივად თავისუფალი დროს გატარების ალტერნატიული გამოცდილება;
- ახალი მეგობრების გაიჩინონ, ისევე როგორც პირადი და პროფესიული კავშირები დაამყარონ.

მოხალისეობა საქართველოს კარიტასში

საქართველოს კარიტასის მოხალისეებს აქვთ შესაძლებლობა, დაეხმარონ სხვადასხვა გაჭირვებულ პირებს. კარიტასის პროგრამები მუშაობენ ისეთი ტიპის ადამიანებთან, როგორებიცაა: ობლები, ლტოლვილები, უსახლკაროები, მარტოხელა მოხუცები, ავადმყოფები, სოციალურად დაუცველი პირები, სტიქიური მოვლენების და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად დაზარალებული პირები, ქუჩის ბავშვები, და მრავალი სხვა. მოხალისეობრივი სამუშაოს კვირაში თუნდაც რამდენიმე საათს შეუძლია შეცვალოს ვიღაცის ცხოვრება.

ურთიერთობა მოხალისეებსა და კარიტასს შორის შეიძლება დახასიათდეს „ურთიერთგაცვლითი პრინციპით“:

მოხალისეები გასცემენ:

- დროს
- ენერგიას
- ერთგულებას
- ენთუზიაზმს
- ცოდნას და უნარების
- გამოცდილებას
- მეგობრობას

კარიტასი გასცემს:

- ორიენტაციას და ტრეინინგებს
- ამოცანებს და განრიგს
- ზედამხედველობას
- მხარდაჭერას
- რესურსებს
- მოტივაციას
- აღიარებას

მოხალისეები მიიღებენ:

- ცოდნას
- გამოცდილებას
- ახალ უნარებს
- მეგობრებს
- დაკმაყოფილებას

კარიტასი მიიღებს:

- ცოდნას და უნარებს
- მხარდაჭერას მიზნების მიღწევაში
- საზოგადოებრივ ცნობიერების ამაღლებას
- წარმომადგენლობას
- კონტაქტებს

საქარტველოს კარიტასში მუშაობის დაწყებამდე ყოველი მოხალისე უნდა გაეცნოს კარიტასის სამუშაოს, მის პროექტებს და აქციებს. მოხალისე თავისუფალია ამოირჩიოს ის სფერო, სადაც სურს მუშაობა (წარმოდგენილი ვარიანტებიდან) და იმ შემთხვევაში, თუ ის მიღებული იყო პროექტში, მან უნდა დაიცვას განრიგი, ქცევის კოდექსი და სხვა პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია მისი კონტრაქტით, სამუშაო აღწერილობით, მოხალისეთა სახელმძღვანელოთი ან მოლაპარაკებულია წინასწარ.

საქართველოს კარიტასში მიღების მომენტში მოხალისეს ეძლევა:

- ☐ კონტრაქტი
- ☐ სამუშაო აღწერილობა
- ☐ მოხალისეს მოწმობა
- ☐ მოხალისეს სახელმძღვანელო

ქცევის კოდექსი

ეს კოდექსი განსაზღვრავს კარიტასის მოხალისეთა დამოკიდებულებებსა და ქცევას, რაც სავარაუდოდ, მათ უნდა დაიცვან. ქცევის კოდექსის ნორმები გამომდინარეობს კარიტასის ეთიკის კოდექსის მოთხოვნებიდან და უშუალო კავშირშია მასთან. ეთიკის კოდექსი ადგენს კარიტასის ორგანიზაციების ძირითად ღირებულებებსა და ინსტიტუციურ პრაქტიკას.

„ინდივიდუალური პირები, რომლებიც გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებზე ზრუნავენ, პირველ რიგში პროფესიონალები უნდა იყვნენ: ისინი სათანადოდ უნდა იყვნენ მომზადებული და გაწვრთნილი, თუ რა უნდა გააკეთონ და როგორ და ამასთან, უნდა ჰქონდეთ მუდმივი ზრუნვის ვალდებულების შეგრძნება. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული ცოდნა ფუნდამენტური და უპირველესი მოთხოვნაა, ის თავისთავად, მაინც არ გახლავთ საკმარისი ჩვენი საქმიანობისთვის, რადგან ჩვენ ადამიანებთან გვაქვს საქმე, ისინი კი, ყოველთვის საჭიროებენ იმაზე მეტს, ვიდრე ტექნიკურად გამართული ზრუნვა წარმოადგენს. მათ ჰუმანურობა სჭირდებათ, ადამიანური და გულიანი ზრუნვა“.

(Deus Caritas Est, #31)

caritas
GEORGIA

1. ღირებულებები, ქცევა და ეთიკური ნორმები

- მისდევენ, ან სულ მცირე, ესმით და გააზრებული აქვთ, პატივს სცემენ და იცავენ სოციალურ და მორალურ ნორმებსა და კათოლიკური ეკლესიის სწავლებას;
- ყურადღებას აქცევენ, რომ მათი პირადი და პროფესიული ქცევა ნებისმიერ დროს აკმაყოფილებდეს უმაღლეს სტანდარტებს და ტოვებდეს ასეთ შთაბეჭდილებას;
- იქცევიან კეთილსინდისიერად და ადამიანებს ეპყრობიან პატივისცემით, მათი ღირსების დაცვით, ქმნიან ისეთ გარემოს, სადაც მრავალფეროვნებას მიესალმებიან;
- იცავენ ადამიანის უფლებებს და ეწინააღმდეგებიან და არ აძლევენ უფლებას, რომ დაირღვეს სხვათა უფლებები მათ მიმართ დისკრიმანიციის, ჰარასმენტის, უფლებათა დარღვევის, იგნორირების და ექსპლუატაციის გზით;
- იცავენ ბენეფიციარების კონფიდენციალურობას (მაგ. არ გადაიღონ სურათები მათი ნებართვის გარეშე): გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ ბავშვების სურათები არ უნდა იყოს გამოქვეყნებული მედია/სოციალურ ქსელებში;
- არ უშვებენ „უცხო რელიგიის ვინმეზე თავზე მოხვევას...და აცნობიერებენ, რომ სუფთა და დიდსულოვანი სიყვარული საუკეთესო მოწმეა ღმერთისთვის, რომლისაც ჩვენ გვწამს და რომელიც სიყვარულისკენ მიგვიძღვება“ (Deaus Caritas Est #31c);
- თავს იკავებენ რასისტული, სექსისტური თუ სხვა მხრივ შეურაცხმყოფელი გამონთქვამებისგან საჯაროდ ან პირად საუბარში;
- მოქმედებენ გონივრულად სხვების დასაცავად ზიანისგან;
- იცავენ იმ ქვეყნის კანონმდებლობას, სადაც მუშაობენ, სინდისის ფარგლებში;

კარიტასის მოხალისეები:

- პატივს სცემენ და იცავენ ადგილობრივ წესჩვეულებებს და კულტურას; იცვამენ და იმოსებიან შესაბამისად;
- უზრუნველყონ, რომ თავად ისინი და მათდამი დაქვემდებარებული თანამშრომლებიც იქცევიან ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და უშიშროების სტანდრატების დაცვით და ძალღონეს არ იშურებენ სხვების დასაცავად;
- არ უშვებენ კარიტასის რეპუტაციის შელახვას;
- იცავენ ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდეციალობას, რომელიც ცნობილი გახდა მათთვის კარიტასში მოვალეობების შესრულებისას;
- ასრულებენ მოვალეობებს კომპეტენტურად და სიყვარულით, დისკრიმინაციისა თუ წინასწარი განწყობის გარეშე და იცავენ კარიტასის უპირატეს გრძნობებს ღარიბი ადამიანის მიმართ;
- მუდმივად ახსოვთ ადგილობრივი სენსიტიური საკითხები, როცა საკუთარ რელიგიურ რწმენას გამოხატავენ;
- სოლიდარულად და თანამშრომლობის სურვილით განეწყონ კარიტასის სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.
- ეთანხმებია მოხალისეობის განსაზღვრას;
- „მოხალისეობის პრინციპით“ მუშაობენ და იცავენ მას;
- აფასებენ და პატივს სცემენ მოხალისეთა კოორდინატორის და მენეჯერების როლს;
- პატივს სცემენ კარიტასის თანამშრომლებს;
- მუდმივად ცდილობენ აამაღონ სამუშაოსათვის საჭირო უნარები სხვადასხვა ტრენინგებში და პროგრამებში.

2. ინტერესთა კონფლიქტი, იძულება და კორუფცია

- არ უშვებენ , როგორც კარიტასის თანამდებობის პირების ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენებას პირადი ეკონომიკური, პროფესიული, პოლიტიკური ან სექსუალური სარგებლის მიღების მიზნით;
- კარიტასის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის შესაძლო ან არსებულ ინტერესთა კონფლიქტზე (ფინანსური, პირადი ან საოჯახო) წერილობით აცნობებენ თავიანთ უფროსებს;
- არ იღებს სარგებელს, ქრთამს თუ სხვა სახის საჩუქარს ბენეფიციარებისგან, პარტნიორებისა და კონტრაქტორებისგან არანაირ ვითარებაში (ეროვნული და ადგილობრივი ტრადიციების და სტუმართმოყვარეობის აღიარების და პატივისცემის ნიშნად დასაშვებია მოხლოდ მცირე სამახსოვრო საჩუქრის მიღება კარიტასის სახელით. სამახსოვრო საჩუქრის მიღების შესახებ უნდა გაკეთდეს განცხადება).

3. კარიტასის ქონების დაცვა და ხელმძღვანელობა

- თანამშრომლები ზრუნავენ, რომ კარიტასის აქტივები და ინტელექტუალური ქონება ბოროტად არ იქნას გამოყენებული, რომ ისინი დაცული იყვნენ თაღლითობისა თუ სხვა სახის ზიანისგან;
- მუდმივად იმოქმედონ შესაბამისი სტანდარტებით და პატიოსნებით ფინანსური ანგარიშვალდებულების დროს.

4. პირადი ქცევა

- თავს იკავებენ ნებისმიერი სახის იარაღის ტარებისგან კარიტასის კუთვნილ ან დაქირავებულ საცხოვრებელში/სამუშაო ოფისში/ტრანსპორტში და სხვ.;
- თავს იკავებენ მსუბუქი ნარკოტიკებისა და ჭარბი რაოდენობით ალკოჰოლური სასმელების მიღებისგან;
- ყურადღებას აქცევენ სექსუალური ქცევის შესაფერისობას.

5. მოხალისეობრივი საქმიანობა

- დროულად, მოხალისეობრივი სამუშაოს დაწყებამდე აცნობენ პროექტების მენეჯერებს ან მოხალისეთა კოორდინატორს ნებისმიერი საკითხის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მათი როლის შესრულების უნარზე (ჯანმრთელობა ან სხვა ფაქტორები), ან რომელიც ზიანს უყენებს მათ ან სხვებს;
- წინასწარ აცნობენ კოორდინატორს ან მენეჯერს მოხალისეობრივ სამუშაოში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა

ქცევის კოდექსის ნებისმიერი ნორმის დარღვევის შემთხვევაში, ჩატარდება გამოძიება, რაც შესაძლებელია დასრულდეს დისციპლინარული ზომების მიღებით.

საინფორმაციო

ჩემი ზემდგომი მენეჯერი არის:
შემიძლია დავუკავშირდე:

ჩემი მოხალისეობრივი როლია:

მე შევუერთდი საქართველოს
კარიტასს ამ დროს:

ჩემი მოხალისეთა კოორდინატორი არის:
შემიძლია დაუკავშირდე:

საქველმოქმედო ფონდი "საქართველოს კარიტასი"

ნუცუბიძის პლატო II,
ბესარიონ ჟღენტის ქ.#3ა
0183 თბილისი, საქართველო

Tel/Fax: (+995 32) 2217819, 2251387
Tel: (+995 32) 2942073, 2250193
e-mail: caritas-georgia@caritas.ge
Caritas Georgia / საქართველოს
ჯარიტასის ოფიციალური გვერდი

www.caritas.ge

მოხალისეს ლოცვა

უფალო, მოგვანიჭე უნარი სიტყვის აღთქმისა,
სიბრძნე გულისა, რომელიც ისმენს
და ხედავს შენს ყოფნას,
მეორე ადამიანის სახეზე.

უფალო, მოგვანიჭე უნარი სისუსტეების აღთქმისა,
მდაბალი სიბრძნე, რომელიც არჩევს შენს სილამაზეს,
ჩვენს ცხოვრებას რომ გარემოიცავს.

უფალო, მოგვანიჭე სიბრძნე ჯვარისა,
რომელიც ჭვრეტს სიცოცხლეს,
ხრწნილებით დაუზიანებელს,
მას შემდეგ, რაც სიკვდილმა გაამჟღავნა თავი.

უფალო, მოგვანიჭე შეცნობა სიხარულისა,
სხვადასხვა სიძნელეთა შორის,
იმედი სასოწარკვეთილების მომენტებში.

უფალო, მოგვანიჭე მადლი შენი სიყვარულის მიტანისა
ჩვენს შორის მყოფ გაჭირვებულ მოყვასთან,
როდესაც ეს ცხოვრება
განსაკუთრებით მძიმე და სასტიკია.